საქართველოს
საპატრიარქო
წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
☎ 995 99 57 32 87



**GEORGIAN
PATRIARCHATE**
**The Teaching University of saint
Tbel Abuserisdze**
☎ 995 99 57 32 87

---

№ 01-20/81 23 სექტემბერი 2016 წ.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
დირექტორის მ/შ. თამარ სანიკიძეს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 21.09.2016 წლის MES 21601122073 წერილის თანახმად წარმოგიდგენთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ შესწორებულ სპეციალურ ანკეტა–კითხვარს.

დანართი: 3 (სამი) გვერდი

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი,
სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

## მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარი

დანართი

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა | არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი |
| | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება | ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი" |
| | იურიდიული მისამართი | შუახევის რაიონი, ს. ტაკიძეები (ხიჯაური) |
| | პროგრამის განხორციელების ადგილი | შუახევის რაიონი, ს. ტაკიძეები (ხიჯაური) |
| | ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი) | thelabuserisdze@gmail.com |
| | ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი /აბულაძე/ (+995 99 ) 573287 thelabuserisdze@gmail.com |
| | საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | ტუნაძე თემურ. (+995 77 ) 299960 tunadze@gmail.com |

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა |
| | პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება | ქართული ენა და ლიტერატურა;<br>ისტორია;<br>სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. |
| | ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი) | გადაწყვეტილება № 131, 07.08.2015 |
| | პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა | 90 |
| | სწავლების ენა პროგრამის მიხედვით | ქართული |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებში | 60 |
| | მიზანი და სწავლის შედეგი * | იხ. დანართი |

### ინფორმაცია მოდულის შესახებ

| № | პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით | ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით | სწავლის საფასური საგნის/მოდულის | დაფინანსებადი პირთა რაოდენობა | ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა | აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები |
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური) | 30 | 2150 | 5 | ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); | წერითი გამოცდა: "პედაგოგიური ესსე" | |
| 2 | ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური) | 30 | 2150 | 5 | ისტორია | წერითი გამოცდა: "პედაგოგიური ესსე" | |
| 3 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | 30 | 1900 | 4 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | წერითი გამოცდა: "პედაგოგიური ესსე" | |

*მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნას დანართის სახით

ბეჭედი

ხელმოწერა

დანართი

# „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე“ აპლიკანტთა მისაღები ანკეტა–კითხვარისათვის

## პროგრამის მიზანი და შედეგები

პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი საბაზო და საშუალო სკოლის საგნის მასწავლებელი; გამოუმუშავოს პროფესიული პასუხისმგებლობა და განუვითაროს ის უნარები, რომლებიც განაპირობებენ მის წარმატებულ შრომით კარიერას;
- შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება/სწავლის მაღალი ხარისხის სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის გარემო.
- ხელი შეუწყოს მაღალმთიან რეგიონში და ზოგადად, განათლების სისტემაში კვალიფიციური თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლის არსებული თუ მოსალოდნელი დეფიციტის აღმოფხვრას.

სწავლის შედეგები:

1. პროგრამის გავლის შედეგად მისაღწევი შედეგები და კომპეტენციები

- . ცოდნა და გაცნობიერება.

✓ გაცნობიერებული აქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
✓ იცის საგნობრივი ჯგუფის/საგნის სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები;
✓ აქვს პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური თეორიების ცოდნა და შეუძლია ამ თეორიების კრიტიკულად გაცნობიერება;
✓ იცის ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები;
✓ იცის როგორ დაგეგმოს, წარმართოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი;
✓ იცნობს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ საფუძვლებსა და სტრუქტურას;
✓ იცის როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემო.

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

✓ შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
✓ შეუძლია სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა მიღწევების ამაღლების მიზნით;
✓ შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა;

- ✓ შეუძლია სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენებაპრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისას;
- ✓ შეუძლია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება;
- ✓ შეუძლია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;
- ✓ აქვს მოსწავლეთა საჭიროების განსაზღვრისა და სათანადო რეაგირების უნარი;
- ✓ აქვს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევის უნარი.

- დასკვნის უნარი.
- ✓ საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის/შეფასების საფუძველზე შეუძლია ინდივიდუალური, პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიების ჩამოყალიბება.
- ✓ შეუძლია პროფესიული სიტუაციის ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება.

- კომუნიკაციის უნარი
- ✓ შეუძლია პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან;
- ✓ შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია.
- ✓ აქვს სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;

- სწავლის უნარი.
- ✓ აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარი.
- ✓ შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

- ღირებულებები :
  - ✓ იცნობს მასწავლებლის ეთიკის კოდექსს და მოქმედებს მის შესაბამისად
  - ✓ ხელს უწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას;
  - ✓ აქვს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარება და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.